№ 251. 28 ნოემბერი, პარასკევი. 1866—1880 28 ნოემბერი, პარასკევი. № 251

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**
გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“—„Иверія“

„დროება“—„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“—„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკენომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებებისა**
[illegible] 1 [illegible] ნახევარი კაპ. [illegible] სხვა ადგილზედ [illegible] კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი;** 26 ნოემბ. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება ახალი ფორმის 25 მანეთების გამოცემაზედ. პეტერბურღის ქალაქის გამგეობამ ფინლანდიაში გაგზავნა დანდობილი კაცი ორი მილიონის პურის საყიდლად.

## თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას

მზა მზისთვისა—ამ დღისთვისა.
უვითელი ოქრო - შავი დღისთვისა.
ქართული ანდაზები.

(დასასრული)

რადგან სახლების ქირაობა საჭირო იქნება მომავალის სამოსწავლო წლიდამ ე. ი. ენკენისთვიდამ, ამისთვის მე ერთ რჩევას მივსცემ სამღვდელოებას: სასწავლებლის ეზოში, ეხლანდელი სახლების დასავლეთ არის ძველი ორ სართულიანი შენობა, რომელიც ძლიერ მაგარია. შიძლება ისევ ისე დარჩეს. ძირის სართულს დასჭირდება კარების და ფანჯრების გამოღება და ამავე სართულზედ მოედგმება მეორე სართულიც. ამის გადაკეთება, ჩვენის აზრით, იმაზედ მეტი არ დაჯდება, რამდენიც სახლების ქირაზედ ორ-წელიწადს დაიხარჯება. ბუნებრივად მოიქცევა სამღვდელოება, თუ რომ ამ სახლების გადასაკეთებლად ეხლავე შესწირავს საჭირო ფულს და გაზაფხულიდამვე შეუდგება მისს გადაკეთებას მომავალი სეკდემბრისთვის; მით უფრო საჭიროა ამის გადაკეთება, რომ შემდეგ სახლების აშენებისა კლასებისა და პანსიონისათვის, ეს სახლები გამოდგება საავათმყოფოსთვის, რომელიც, სამჯობინარია, გაცალკევებული იყოს საზოგადო საცხოვრებელ სახლიდამ.

მეოთხე კითხვა გამოწვეულია იმ გარემოებისაგან, რომ სამღვდელონი თავის დროზედ არ აძლევენ იმ ფულს, რომელსაც ისინი სწირვენ თავიანთიისა და ეკკლესიების შემოსავლიდამ სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ შემთხვევას აბრალებს ზოგი ბლაღოჩინს,—ესენი არ კრეფენო,—ზოგი თვით მღვდლებს, — ესენი არ იძლევიან თავის დროზე ფულსაო.

თუ ეს სურვილი აქვს სამღვდელოებას, რომ დანიშნულ ვადაზედ შემოდიოდეს მათგან შემოწირული ფულები, საჭიროა, რომ თვით კანტორას სთხოვონ, რომ მან აღნიშნული შესაწირავი დაუჭიროს მღვდლებს ჯამაგირიდამ და პირ-და-პირ სასწავლებლის სასამართლოში გამოგზავნოს, წინაღმდეგ შემთხვევაში. ხოლო რაც შეეხება ეკკლესიის შემოსავლიდამ შესაწირავს, საჭიროა ერთი რომელიმე თვე დაინიშნოს ვადათ, და ვინც ამ წესს დაარღვევს, მღვდელი იქნება, თუ ბლაღოჩინი, უთუოთ ჯარიმა გადაახდევინონ.

სამღვდელოებას ძლიერ კარგი დრო და გარემოება შეხვდა აღსასრულებლად თავის სურვილისა შესახებ სახლების აშენებისა. თვით ობერ-პროკურორი უწმინდესის სინოდისა თურმე წინადადებას აძლევს საქართველოს ექსარხოსს იოანნიკეს, რომ ამან ჯეროვანი შემწეობა მისცეს თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას აღსასრულებლად, მისის სურვილისა შესახებ, ახალი შენობის გაკეთებისა კლასებისა და პანსიონისთვის. სრული იმედი უნდა იქონიოს სამღვდელოებამ, რომ არქიერი, ჩვეულებრისაებრ, დიდს შემწეობას მისცემს სამღვდელოებას ამ საქმეში, თუ რომ თვით სამღვდელოება გულით და სულით შეუდგება ამის აღსრულებას და თავის მხრითაც არ დაზოგავს ჯეროვანს შემწეობას.

სამღვდელოებას ვერ შეაშინებს მომავალი სახლების აშენება, თუ მათმა წარმომადგენლებმა ცხადად დაინახეს აწინდელი საჭიროება სასწავლებლისა და შესაბრალისი ცხოვრება და მდგომარეობა თავიანთ შვილებისა თელავში სახლის პატრონებთან, სადაც მათ არც პური აქვსთ საკმაოდ, არც ხეირიანი საჭმელი, არც ცეცხლი, არც სანთელი. პურის-გდება კიდევ სახლის პატრონების მხრივ მოსწავლეთ გონებით და ზნეობით ცხოვრებაზედ—ღმერთმა შეინახოს. ესენი—მოსწავლენი ჭეშმარიტად ამისთანა მდგომარეობაში მიემსგავსებიან პატარა ტუსაღებს, რომელთაც ვითომც რაღაც დანაშაულობაზედ ასე სასტიკად სჯიან.

შეიბრალეთ, მოძღვარნო ზნეობისად ძმათ-მოყვარეობის მქადაგებელნო, ეს უმანკო არსებანი. თქვენ გვიქადაგებთ მტერთა სიყვარულს, ნაცვლად ამისა ჩვენა გთხოვთ შეიყვაროთ თქვენივე შვილნი, ნუგეში და სასოება თქვენი. იცოდეთ, თუ მათის განათლებისთვის თქვენ შემწეობას დაზოგავთ, თქვენის ხელიდამ სხვა გვარს სიკეთეს ვერ მიიღებს ჩვენი საზოგადოება.

არ დაივიწყოთ რომ სამღვდელოება ყოველს გაჭირების დროს წინ უძღოდა და ამხნევებდა ჩვენს წინაპართა; მისმა ღვაწლმა დაიცვა მტკიცედ ჩვენი ენა და სარწმუნოება თავდა-პირველსავე სიწმიდით. ეხლანდელი თქვენგან მოთხოვნილება ძლიერ მცირეა და ვერც კი შევადრით უწინდელ სამღვდელოთ მოვალეობის აღსრულებას. თქვენ გეთხოვებათ მხოლოდ ზრუნვა თქვენსავე შვილებზედ, რომელზედაც ზრუნავს ყოველი ცხოველი თვინიერ ქადაგებისა და დარიგებისა.

მატერიალური შეძლებით თქვენ სხვა მოსამსახურე პირებზედ ძირს არ

---

## «დროების» ფელეტონი, 28 ნოემბ.

### დუქნის წინ.

(სცენა ხალხის ცხოვრებიდამ.)

დუქანთან შეყრილია სოფლის ხალხი; ზოგი ჯოხზეა დაბჯენილი. ზოგი ჩიბუხსა სწევს. მამასახლისი თავის განუშორებელს იასაულებით და „სუდიეებით“ დუქნიდამ გამოდის შექინქლილებული; უკან მოსდევს ნალბანდი—სომეხი; აქვე გამხმარ ნერგის ჯირკზე ზის ზაქარა ჩიორაშვილი, ახალ გაზდა გლეხი.

**ნალბანდი.** (კარებთან მამასახლისს ყურში წასჩურჩულებს). ვითომც გიჩუქებია, აი, ისე ჩააგდე! ჩემმა მზემ, მამა მიცხონდება-მეთქი, გადგეხდი... ვა, ფაკულა მოგეკვდეს-მეთქი, ფაკულა!!...

**მამასახლისი.** ჰო მეთქი, კაცო!... სსუ!... (დაბლა ეუბნება) ე ხალხში, რა ქვიან, ფაკული, ცოტა სხვა ნაირათ გავსწიოთ ანგარიში... (იასაულს) იობა, ბჭო, წოწოლაანთ ბაბოს დაუძახე, მამასახლისი გეძახის-თქო.

**ზაქარა.** ჰე, გადაუკრავს ჩვენს ბატონს!... ჰე-ჰეი! შეხეთ, შეხეთ! (წაჰკრავს ჯოხს მეზობლებს). როგორ იწმაწნის ი ულვაშებს. ჰაი ვიდი ჰა! ჩვენს ყვითელ ბარსვანას როგორ ჩაუსხვილდა კისერი ზერისთობის კურატივითა!? (ხალხი იცინის). ოჰ, მამამასახლისს ვახლავართ! ქარგად ხარ აი ჩაღლეული! (ხალხისკენ მ დალოცვილი, კვირა დღეა და!

**ხალხი.** არც რას ისე დღეში აკლებენ, დარდი ნუ გაქვთ.

**ურია.** (მოდის გზაზე ყუთ-აკიდებული). ჰაი საწვრიმალო; სულ ახალ-ახალი, ახალციხური! ივაჭრეთ, საწვრიმანო-ო-ო!

**მამასახლისი.** შენ ეი, ისრაელო, აქეთ მოიარე.

**ურია.** რას ინებებთ, შენი თავის ჭირიმე ე! აბა, რა მოგართვათ ე, თუ ნათლი დედას მიუტანო სახლში ე...

**მამასახ.** შენ ნება არა გაქვს, რო ივაჭრო. ღუბერნატორის ბრძანება მაქვს, რო ვერ ივაჭრებ. ბიჭებო, ჩამოხადეთ ე ყუთი და დაიჭირეთ.

**ურია.** აი, შენი თავის ჭირიმე ე ბილეთი ე. თუ ნება არა მქონდეს, რათ მომცემდნენ... (მამასახლისს ყელ გადაგდებით). შე დალოცვილის შვილო, რა დროს ხუმრობაა.... თქვენ ჯალაბს ჩულქები უნდოდა, ყველა ნაირი მაქვს... მოკლეს ინებებს, თუ გძელს .. არ წამობძანდები? (მამასახლისს ნალბანდი ეჩურჩულება, იმას ურიასკენაც აქვს ყური).

**იასაული.** შენი საქმე არ არი; ვერ წახაალ, ვერა!... ბარსო, ერთი ი ციკულარი გამოატაინე...

**მამასახ.** აბა, ვის გამოვატაეინო? წადი, ერთი მიირბინე და ნათლია შენს უთხარი, რო ზანდუკში რო ხელსახოცია გამოკრული-თქო, ისე ასწიე და გამოგზავნე-თქო... არა, არა, მოიცა! ზანდუკში არის, მგონი...

**ზაქარა.** (ხალხს) ზანდუკში!! ჭერში იქნება შენახული; ზანდუკები მაგი ცოლ მელანას გადაჰკაჭვია.

**მამასახ.** შენ ეი, ზაქრო, ე წინაღმდეგი ნუ ხარ ყოველთვინა თორემა...

**ზაქარა.** თორემა ნაობახტში არ ჩამამწყვდევინო! შენი საქმეები სუ ხუთი თითივით ვიცი, ვაი არა აქვს ე ბიჭსა.

**მამასახ.** ე საქმეს მოვრჩე და გაჩვენებ, რაც კაცი ვარ.

**ზაქ.** ბული კი არ წამივიდეს, უჰ!..

**მამასახ** (სუდიას) ხოსრო, იმ დღეს პარმენას რო წავაკითხეთ ი ბრძანებაი, და ი ღარბაზის დედა-ბოძზე ჰკიდია-თქო, კერასთან როა.... (ზაქარას მოუბრუნდება). აცა დაიცა, ზაქრავ! ე უთავბოლო რახუნი რო იცი, ეხლა რო ღმერთს გადაუდგე, ე აბიდას რო მაძლევ, ხედავ ე ხემწიფის მიცემულ მენდალსა? ჰა?

**ზაქარა.** მედალი რო მოგცეს; იმიტომ კი არ მოგცეს, რო ხალხი შესვი და შეჭამეო!.... შენ უფრო ბევრ აბიდას აძლევ ხალხსა: ვისაც არა მგონია დაიჭერ, ვისაც არა მგონია სცემ; სუ ტყუილა უბრალოზე... ერთ ტაქან ღვინოს დაგალევინებს ვინმე, ის კაი კაცია. იქნება ყველას არა აქვს ღვინო; იქნება ყველას არ იამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდგეხართ. არც ერთს მოთანამდებე გვამს არ აქვს იმდენი თავისუფალი დრო და წყარო ცხოვრებისა, რამდენიც თქვენ. მთავრობა კიდევაც ცდილობს თქვენი მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესობაზედ; საჭიროა მხოლოდ, რომ თქვენც ხელი გამოიღოთ, გონება გაანძრიოთ და თქვენ შვილებს სწავლის მიღება გაუადვილოთ თქვენსავე სასახელოდ და სასიქადულოდ. მართალია, თქვენში, როგორც წინათ, ეხლაც მრავალნი ცდილობენ ამ თქვენთვის სასარგებლო საქმის ჩაშლას; მაგრამ იმედია, რომ თქვენი გონიერება და გამოცდილება შეიძლებს გარჩევას კეთილისას ბოროტისაგან და სასარგებლოს საზარალოსაგან. ამით თქვენ დაიმსახურებთ პატივს და დიდებას საზოგადოებისაგან და დაავალებთ თქვენ შვილებს, რომ მათ ერთი-ათად გადაგიხადონ სამაგიერო სიკეთე და ნაყოფიერი ზრუნვა.

სამღვდელოთ სიკეთის მოსურნე.
თელავი, 20 ნოემბერს.

## ახალი ამბები

—

გუშინ 26 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე ტფ. პუბლიკურ ბიბლიოთეკის ზალაში იყო მომავალ 1881 წლის არხეოლოგიურ ყრილობისათვის დადგენილს მოსამზადებელ კომიტეტის კრება, რომელზედაც ბევრი გარეშე პირნიც დაესწრნენ.

სხდომა გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ღენ.—ლეიტ. ა. ბ. კომაროვმა, რომელმანც ჩამოთვალა 72 სხვა-და-სხვა საგანი, რომელზედაც ტფილისის მეხუთე არხეოლოგიურმა ყრილობამ უნდა მოილაპარაკოს და აგრეთვე მოიხსენა—თუ დღემდინ რამდენად გამოკვლეულია კავკასიის მხარე არხეოლოგის მხრით; ბ. კომაროვის სიტყვით, სწავლულ არხეოლოგებისა და არხეოლოგიის მოყვარე კერძო პირების წყალობით, კავკასიის მხრის სხვა-და-სხვა ნაწილები ამ ჟამად გვარიანად გამოკვლეულია, განსაკუთრებით კარგათ არიან გამოკვლეულნი დარუბანდის მხარე, ოსეთი ტფილისის ახლო-მახლო ადგილები, აგრეთვე კასპის ზღვის ნაპირები, ერევნის გუბერნია და სხვ. მხოლოთ ქუთაისის გუბერნიას კი ჯერ თითქმის სულ არ შეხებია არხეოლოგიის მეცნიერებათ და არც ახლად-შეძენილ ბათუმის მხარესაო.

მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების თავს-მჯდომარემ გრაფ უვაროვმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა იმ დიდ მნიშვნელობაზედ, რომელიც აქვს კავკასიის მხარეს არხეოლოგიურის მხრით; ხიდი იყო კავკასიისაო, სთქვა ბ. უვაროვმა, იმ ხალხებისათვის, რომელნიც აზიიდამ ევროპაში გადმოდიოდნენ: უეჭველია, ამ ხალხების ნაშთები აქ, კავკასიაში, უნდა მოიპოვებოდეს, აქ უნდა მოვსძებნოთო. თავის სიტყვა გრაფ უვაროვმა იმით გაათავა, რომ ყველა აქაური მამულის-შვილი უნდა სცდილობდესო, თავის ისტორიის და წინაპართა ცხოვრების გაცნობას და ამის გამო, იმედია, ყველა დაეხმარება მომავალ არხეოლოგიურ ყრილობას ამ საქმეში.

ბ. ერიცოვმა სთქვა რამდენიმე სიტყვა სომხის ეკკლესიების „გავიტებზე“ და „ჟამატუნებზე“ (დერეფნებზე) და იმათ მნიშვნელობაზე ძველს საეკკლესიო არხიტეტურაში.

ბოლოს ნ. წილოსანმა უჩვენა საზოგადოებას ადამიანის ძვლები და და სხვა და სხვა ნივთები, რომელიც იმას კასპის ზღვის მახლობლად უნახავს აკლდამებში.

* *
*

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ მომკვდარა ერთი იქაურ ოლქის სასამართლოს პრისტავი; მომაკვდავისთვის ერთ ვიღაც დედა-კაცს ბალიშიდამ ფულები გამოუცლია და თითიდამ ბეჭდები წაუძვრია...

ამ საზარელ შემთხვევის თაობაზედ გამოძიება არის დანიშნული და საქმე დაიწყოვო.

## პროექტი

### წინამძღვრის-შვილის პრაკტიკულ სასოფლო მეურნეობის სკოლისა

§ 1.

სოფელ წინამძღვრიანთ—კარში, საგურამოს ველში, დუშეთის უეზდში, ოც-და-ხუთმეტ ვერსტზედ ქალაქ ტფილისისა, ოც ვერსტზედ ქალაქ დუშეთისა, ოც-და-ათ ვერსტზედ თიანეთისა და თუთხმეტ ვერსტზედ მცხეთის რკინის გზის სტანციისა, დაიფუძნება მამულის მეპატრონის ილია ივანეს-ძის წინამძღვრის-შვილის ხარჯით: პრაქტიკული სასოფლო-მეურნეობის სკოლა.

§ 2.

სკოლასა აქვს ჰაზრათ ასწავლოს მამულის მეპატრონეების და გლეხთ შვილებსა წერა-კითხვა, გარდასცეს მათ სწავლა სასოფლო მეურნეობაზედ და შეაჩვიოს იგინი წესიერ სასოფლო მეურნეობას, მამულის შემუშავებას, ხვნა-თესვას ვენ., გაკეთებას, ღვინის დაყენებას, მებაღობას, ბოსტანის შემუშავებას, ფუტკრის აღზდას, ფრთიანის გაჩენას და საქონლის მოშენებას.

§ 3.

სკოლა იხსნება ყოველ წოდების შვილთათვის.

§ 4.

უპირატესი მეურნეობის სკოლის გამგეობა და მისი მიმართულობა, აგრეთვე მოვალეობა მართებლობასთან ვალად—დევს სკოლის მზრუნველს (პოპეჩიტელი).

§ 5.

პოპეჩიტელათ სკოლისა იქმნება ის პირი, რომელსაც დაუსრულებია სწავლა მაღ., ან შვათანა სასწავლებელში, ანუ მიუღია შინაური სწავლა, უპირატესათ კი ამოირჩევა ისა, რომელსაც აქვს სწავლა [illegible] სასოფლო მეურნეობისა.

§ 6.

პოპეჩიტლათ სკოლისა საზოგადოება ამოირჩევს კენჭით, ხუთის წლის ვადით. ის პირი იქნება პოპეჩიტელათ დანიშნული, რომელიც მიიღებს $^2/_3$ კენჭსა. ამორჩეული ესრეთ პირი იქმნება დამტკიცებული პოპეჩიტლათ ყველა წევრისაგან საზოგადოებისა, რომელიც კენჭის-ყრის დროს დაესწრობა. ამორჩევის ფურცელი, მოწერილი ყველა დამსწრე კენჭის ყრის დროს საზოგადოების წევრისაგან, გაიგზავნების ბ. კავკასიის სასწავლებელთა პოპეჩიტელთან. (§ 28).

შენიშვნა: როდესაც სკოლა გაიხსნება, პოპეჩიტლათ უნდა იყოს სიკვდილამდე თითონ დამაარსებელი სკოლისა.

§ 7.

შემდეგ ხუთის წლისა, ანუ პოპეჩიტლის სიკვდილისა, მოხდება ახალი კენჭის ყრა. მანამ პოპეჩიტელი იქმნება ამორჩეული, იმის მოვალეობას აასრულებს სკოლის მზრუნველი (სმატრიტელი).

§ 8.

დაახლოვებითი გამგეობა სკოლის სასწავლისა სკოლის სმატრიტლის არის.

§ 9.

სკოლის სმატრიტელს პოპეჩიტელი ამოირჩევს და შეეკვრის იმას პირობით; დამტკიცება კი იმისა წარმოსდგება ბ. კავკასიის უჩებნის ოკრუგის პოპეჩიტლისაგან.

§ 10.

ბარდასაწყვეტლათ სკოლის საქმე-

---

ბი... მენდალი!?! მაგითანა მენდლები აქვთ... მეცხვარეს იმიტომ დააყენებენ ცხვარში და გძელ ჩობანს მისცემენ ხელში, რო მოუაროს, ჩობანით შორს გადასწვდეს, რქაში გამოსდოს და გადასასხლეტი ცხვარი ფარასკენ გამოატრიალოს და მგელს არ შეაჭამოს...

ხალხი მართალს ამბობს! რა ბიჭია?! ცეცხლია სწორეთ, ცეცხლი! ვენაცვალე შენს გამჩენს.

მამასახ. კარგია, კარგია!! მეცხვარეთაც ხო გამხადე და!... მაცა, შვილო, მაცა და ე ჩემ შავ კისერზე დააქდიე ე შენი უნარები... ბაჩვენებ სეირსა; შენითანა ბიჭები დამიმშვიდებია.

ზაქარა. ჩემითანები არა ყოფილან, თურემა გაჩვენებდნენ სეირსა...

იორდანე. (ხალხს გადაელაპარაკება) შავი კისერი, შვილოსა, მაშინა გქონდა, როცა სალთვასის მინდორში მკის დროს მზე კისერში ჩაგყურებდა. ეხლა რა, ბროწეულს მიუგავს; კოლოტივით აქვს ღვინისაგან გაქლენთილი...

მამასახ. აი, შვილო! ნათქვამია: თავრიზს ვირი ხეზე გავიდაო... ეს ვირი და ეს ხეო... (წასწვდება იასაულს და ქაღალდს გამოართმევს). აი აქა სწერია ჩემი სამართალი. (გაშლის, ურია წამოუმხარ-და-მხარდება; ზაქარია გადახედავს).

ზაქარ. ეგ ის ქაღალდი არ არი, ი პარმენამ რო წაიკითხა?

მამასახ. ჰო. მერე?

ზაქარა. მერე და მერე! (ხალხს) კაცნო, იქ არ იყავით ე ქაღალდი რო წაიკითხა? ამაში ისა წერია, რო ფოდრაჩიკებს ნუ აყიდვინებთ პურსაო, ნურც სხვა ვისმესაო.

იორდანე. მართალია, პურზე ნუ რას ივაჭრებენო. რა ვიცი, პარმენამ კი ასე წაიკითხა და.

ურია. ჩემი რჯული დამეგდოს, თუ მე პურზე ვყიდდე. თითო ოროლა, თქვენი თავის ჭირიმე ე, კვერცხს კი ვიღებ საჭმელათა. (ურია ნელ-ნელა მიიპარება).

ზაქარა. რის მუცლის ტკივილი ჰქონდა მამასახლისს, მე კარგად ვიცი.

მამასახ. რისა?

ზაქ. რისა და იმისი, რომა ე ისრაელი უნდა დაგეჭირა და მერე აგეცინცლა რამე... შენ ცოლს რო ი ხავერდის თავ-საკრავი წამოუტყლერჭნია ი შუბლზე, ი მაშა ქრელი აბაზები დაუთვალე, არა? აბა, აბრამა ურიას ვკითხოთ?... ამას სუკები როდი აქვს, რო პეპანასავით გაძლიოს. ი დილდილით აგებულ შამფურებს, რო გამოარბევინებ ხოლმე დუქნიდგან...

იორდ. სუკები ნუ იყოს, სხვა ხო აქვს, რასაც აავლეჯდა, ყველა მაგისთვის გამოსაყენებელი იქნებოდა... ეჰ, ჩვენი არ გვინდობს, ჩვენი, და ოსი იასაული რა გავამტყუნო, რო არ დაგვინდონ და გვატყაონ. (ამ დროს მოიყვანებენ ბაბო წოწოლაშვილს).

გაბო. რათ მიბარებდი, მამასახლისო!

მამასახ. რათა და აი ე ნალბანდი კაკულა გიჩივის, რო რომელიცა შენ კამბეჩები დაგიჭედა თურმე და შენ ფული არ მიგიცია და იმაში უბრი, რა ვიცი, ე ნალბანდმა დამარწმუნა, რო შენ ვითომც ამისი ბარგი გადაგეტანოს ქვემო სოფელში...

გაბო. (შეტევით). სართი დასწრებასო, ამაზე იტყვიან. არა, მაგას პირიქით ჩემი მართებს და მე მედავება?! (ნალბანდს). შენ და შენი კაცობა, შენ და შენი ცოლ-შვილი, სწორე თქვი: შენია ჩემზე, თუ ჩემი შენზე... ჰი-ჰიი!! ქართველი კაცის . . . . ამოვარდეს, თურემ შენ მაშინვე არ დაგათვლევინებდი. მაგრამ, შვილოსა, გენდე, რაღა, გენდე!..

ნალბ. ვა, მამავ, მე რას მიტევ, რო მიტევ! მამასახლისმა იცის.

გაბო. მამასახლისმა რა იცის; როდის მადგა თავს ბარგის ზიდვაში? მაგან ეს იცის: ვინც გახეთქამს, ჩააჭყურტებს ღვინოს იმისკენ იტყვის. ჰაი, ჰაი, რომ ეგ ჩემკენ არას იტყვის! კარგა გამოგიძლევია; ულვაშები დაუბ-

ებისა იმ საგნებზედ, რომელნიც უპირატეს განსჯას მოითხოვენ, შესდგება სკოლის პოპეჩიტლისაგან, სამღრთო წერილის მასწავლებლისაგან და სწავლული მებაღის-ღვინის დამყენებელისაგან კრება.

§ 11.

სწავლა საგნების სკოლაში უნდა იყოს ისე ნათლათ, რომ შაგირდებმა ყველა თქმული მასწავლებლისაგან გაიგონ.

საგნები სკოლისა

ა, სამღრთო წერილი

ბ, რუსული და ქართული ევი ები.

გ, არითმეტიკა.

დ, შემოკლებული საზოგადო გეოგრაფია და გეოგრაფია რუსეთისა.

ე, შემოკლებული საზოგადო ქვეყნების ისტორია და ისტორია რუსეთისა.

ვ, მეურნეობის სწავლა მამულის შემუშევებაზედ, ბოსტანზედ, ვაზის გაშენებაზედ, ღვინის დაყენებაზედ, მებაღობაზედ, ფუტკრის და ფრთიანის აღრზდაზედ, სასოფლო მეურნეოის ანგარიშზედ.

ზ, ეკკლესიური გალობა.

შენიშვნა: 1, ამ საგნების სწავლა სკოლაში პირველ სამ წელიწადს უნდა ქართულ ენაზედ იყოს; შემდეგ კი, როდესაც შაგირდები შეითვისებენ რუსულ ენას, სწავლა რუსულ და ქართულ ენაზედ იქნება;

2, შემდეგ სკოლის საშუალობის გავრცელებისა ყმაწვილებს ასწავლიან ხელოსნობას ვისაც რის ნიჭი აქვს და სურვილი: დურგლობას, სტოლიარობას, ბოჩკის გაკეთებას და მჭედლობას;

3, მდაბიურ ენაზედ შაგირდებს შეასმენს თუ როგორ უნდა თავიანთ თავი სუფთათ შეინახონ და როგორ უნდა უწამლონ საქონელს. ამ საგნების მასწავლებლად სკოლა მოიწვევს, დრო გამოშვებით, სწავლულთ პირთ ქალაქიდამ.

4, შაგირდები მიიღებენ სკოლიდამ უფასოთ წიგნებს და სხვას, რაც მოუნდებათ იმათ სწავლისთვის.

§ 12.

შაგირდები სკოლაში ივლიან უფასოთ; ამ სკოლაში ოც-და-ხუთ შაგირდზედ მეტი პირველათ არ იქნება მიღებული.

§ 13.

ყმაწვილები სკოლაში ნაკლებ ათის წლისა არ იქნებიან მიღებულნი. დედ-მამანი პირათ თავიანთ სურვილს გამოუცხადებენ სკოლის პოპეჩიტელს, ანუ სმატრიტელს. იმათი შვილების სახელი, გვარი და წლოვანება ჩაიწერება სკოლის წიგნში.

§ 14.

სწავლა შაგირდებისა იყოფება ორ ნაწილათ: ტეორეტიკულათ და პრაკტიკულათ. ტეორეტიკული სწავლა იქნება ზამთარში და პრაკტიკული ზაფხულში.

§ 15.

შაგირდების მიღება სკოლაში იქნება კენჭით, ყოველ წლივ, 1 ოკტომბერს. ამ საგანზედ სკოლის რჩევა (სოვეტი) წინათ გამოაცხადებს საყოველთაოთ.

§ 16.

სწავლა სკოლაში ხუთი წელიწადი იქმნება.

შენიშვნა: შაგირდებს, შემდეგ სწავლის დასრულებისა, შეუძლიანთ, სკოლის კრების ნება-დართვით, დარჩნენ ფერმაში უმეტეს დასახელოვნებათ პრაკტიკულ სწავლის უფრო ხანგრძლივ.

§ 17.

ვინც ამ სკოლაში შაგირდი კარგათ დაასრულებს სწავლას, იმას სკოლის გამგეობისაგან მიეცემა მოწმობა. ამ მოწმობაში იქმნება გამოცხადებული შაგირდის ცოდნა საგნებისა და იმისი ყოფა-ქცევა სკოლაში. გარდა ამისა გლეხების შვილები იქმნებიან განთავისუფლებული თავიანთ საზოგადოებისაგან ბეგარისგან; საუკეთესო შაგირდებს კი, სკოლის კრების განჩინებით, შიეცემა ჯილდოთ ერთი სასოფლო მეურნეობის იარაღი.

§ 18.

სკოლის მასწავლებლები იქმნებიან: სმატრიტელი სკოლისა, საღმრთო წერილისა (პრიხოდის მღვდელი) და სწავლული ღვინის დამყენებელი-მებაღე.

შენიშვნა: სმატრიტელს და ღვინის დამყენებელს-მებაღეს სახლი ექმნებათ სკოლაში და უფასოთ ეძლევათ შეშა და ბიჭი.

§ 19.

სკოლა გაიხსნება სახლში, რომელსაც აშენებს თავის ხარჯით დამფუძნებელი სკოლისა. მამულის მეპატრონე ყმაწვილების პრაქტიკულ სასწავლებლათ თავის მამულიდამ ოც დღიურ კარგ მიწას აძლევს სკოლას.

§ 20.

სკოლის სახლი, ავეჯეულობა და ფერმა (ოცი დღის მიწა) სკოლის მფლობელობაში უნდა იყოს, მანამ იგი არსებობს.

§ 21.

სკოლა შეინახების მამულის მეპატრონეს ხარჯით, ჩლენების ფულებით, ფერმის შემოსავლით, შაგირდების ხელოვნობის გასყიდვით, მმართებლობის, სხვა-და-სხვა საზოგადოებათ და კერძო პირების მონაწილეობით და შემწეობით, თუ ივინი მიიღებიან.

შენიშვნა: სკოლა ყველა თავის ავეჯეულობით და ფერმით, შემდეგ ამ სკოლის დამაარსებელის სიკვდილისა, საზოგადოების გამგეობის ქვეშ იქნება.

§ 22.

სკოლის ფულები სკოლის კრების გამგეობის ქვეშ იქმნება. ამ ფულებს დახარჯავს, საჭიროების-გვარათ, პოპეჩიტელი მხოლოთ მაშინ; როდესაც ძთელი სკოლის კრება გადასწყვეტს წინათვე — თუ რამთენი მოუნდება დასახარჯავათ ფულები.

§ 23.

სკოლის ფულები ოც თუმანზედ მეტი, სკოლის სახელობით, ბანკში უნდა იყოს შეტანილი სასარგებლოთ.

§ 24.

როდესაც წელიწადი შესრულდება სკოლის კრება გამოაცხადებს გაზეთებში და თითონ პოპეჩიტელი მოახსენებს საზოგადოებას თუ რამთენი შემოუვიდა სკოლას ფული და ვისგნით, რაზედ დახარჯა და რამთენი დარჩა კიდევ, აგრეთვე რა მდგომარეობაში არის ყველა სკოლის საქმეები. საზოგადოებას აქვს უფლება ყოველ დროს გაიგოს სკოლის საქმეები და მისი საშუალობა, აგრეთვე მოქმედება თითონ პოპეჩიტლისა.

§ 25.

სკოლა საზოგადოების გამგეობის და მფარველობის ქვეშ იქნება.

§ 26.

ამ საზოგადოებას შეადგენენ ადგილობრივი მამულის მეპატრონენი, გლეხნი და სხვა პირნი, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას. საზოგადოებას სახელათ ეწოდება „საზოგადოება მფარველობისა წინამძღვრიშვილის სასოფლო მეურნეობის სკოლისა".

§ 27.

წევრათ საზოგადოებისა სრულ წლოვანნი ყველა გვარისა ქალნი და კაცნი იქნებიან. წევრნი საზოგადოებისა იყოფებიან ორ ნაწილათ: ნამდვილათ და საპატიოთ. ნამდვილ წევრათ იხსენიებიან ის პირნი, რომელნიც შემოიტანენ წელიწადში ხუთ მანეთს, საპატიოთ კი ისინი, ვინც ისურვებენ ერთხელ ხუთი თუმნის წარმოდგენას.

---

ზენია და აბა რალა სამართალი ვსთხოვო?!

მამასახ. შენ ეი, ბაბუავ, ე მანდ შენთვინ იყავი და ე ვალი მიეცი ე უცხო კაცსა, თორემა ბორის გზა ვიცი.

გაბო. შენმა მზემ ბორი გზა მე კი შემეშლება, აი!.. დენიშკას არ მივცემ, დენიშკას, რო თვალზე მიიკრას... და მამ ბაბოს ე ულვაშები ნუ სხმია, თუ ე ჩოხა ვერ გავაძრო. მაგ ჩაჩულია კროას ჩემს ვალში. (ნალბანდი დუქნიდამ იპარება; მამასახლისიც ტოკავს, ჰხედავს, რომ ცუდათ არის საქმე).

ზაქარა. არა, ავი კაცის სახელი წაწყდეს! თუ თქვენში შვილოსა, ღმერთია, თუ თქვენში სინიდისია, ლამის მთელი სოფელი ქურდებმა და კაცი-მკვლელებმა აიკლონ; დღე ერთია და ჩვენებური მწყემსების დაწიოკება—ათასი,—აი ამას უგდოთ ყური! ჰა? არა, ამას მოუაროთ! ერთი ტაქანი ღვინისთვინ ყელსა სჭრი შენ მეზობელსა, შენ სისხლ-ხორცსა, და ვილაც კროას უმატებ და უმართამ ხელსა.

იორდ. ჯანი გავარდეს, გაუმართოს ხელი, თუ მართალია.

ხალხი. ეგ არის და!..

ზაქარა (ისევ მამასახლისს). იმ დღეს ხელში რო მოგცეს ქურდი ოსები, რათ გაუშვი გზაზე, რათა? ჰა? (მამასახლისი ვითომ არათ აგდებს ამ ლაპარაკს და ჯოხით მიწას ჩიჩქნის). ძალიან მოიყრუე ყური, ძალიან!! აბა, თუ შეგიძლიან რამე, თავი გაიმართლე... ამოგიჩრიათ იღლიაში ჯოხები, გაგიშვერიათ გზირებივით წინ, აკიდიათ ინდოურებივით თავები და აქა-იქა დაეხირებით, რა არი—მუქთა ხორას წავაწყდეთო. ისაული მოვა და თქვენი დღეობა მაშინ არის: ერთის ალაგას ორს და სამს ქათამს ართმევთ, საცა ღარიბი, ქვრივ-ოხერი დედაკაცებია და სკდებით... (მამასახლისი გადის და დუქანს ეფარება).

იორდანე. ქურდებმა ხო ეს არის, რო ლამის სულ ერთიანად აგვიკლონ; ვინ თავ-მკვდარი პირველი არ ვავა ყარაულათა. ამ ოხერში, ამოდენა სოფელში, რო ყარაული არ იყოს, ღმერთია? ჰა!!. ჩაიგდებს თითო მამა-ძაღლი გუდა-მშიერი ხელში მამასახლისობას, წურბელასავით მოგვეკიდება და გამდიდრება უნდა. ვისაც შეუძლიან, ვინც რიგიანი კაცია, შვილოსა, ისინი კი არა დგებით მამასახლისათ და... აბა, რა კაცს ვაყენებთ, რა საქმე უნდა გაარიგოს; ჩვენს თავს, ისევ ჩვენა ვღუპავთ.

თომა. აკი, ზაქარო, შენ გეუბნებოდით, რატო არ იკისრე, ძმაო!..

ზაქარა. იკისრე!? ჩვენ თავადებში იკისრე!? რ გიანად რო მოიგცევი, პადსუდში მიგაცემინებენ. სხვას ტყუილა ვამტყუნებთ, მაგათგან არის ჩვენი სოფელი ასე გარყვნილი და გაუერანებული; რასაც უბრძანებენ, ისრე იქცევა მამასახლისიც. აი, ეხლა წავა, ბარსუა-მამასახლისი, ეტყვის ბატონს, და, ვინ იცის, ხვალ რა ხრიკები მოგვდის ამ ლაპარაკისათვინ.

ხალხი. ჰეიდა-ჰა! ეგ არის და, ეგა! ასე არ იყოს საქმე, ბარემ კარგია... შარესი ბატონ-ყმობა გვადგია კარზე...

იორდანე. კაცო, როგორ ლაპარაკობ, ჰა? რაც უნდა იყოს, რიგიანი კაცი თავისას გაიტანს. არა, ერთი გამოყრუებული კაცი დავაყენეთ, ყველის ლაწირაკებს გვეძახის, აქაოდა თმა გასთეთრებია ნიკორა კამეჩისავითა, ჭკვიანი ვარო!

ზაქარა. ხალხნო, მაშ დედა შეერთოს იმ კაცს ცოლათა, რომელიც არ წამოვიდეს ნაჩალნიკთანა. ვიჩივლოთ, კაცო, ქვეყნის დამღუპველი კაცი არ გვინდა-თქო. ბიჭოს ოხრობა ხომ არ არის; როგორც ამოვირჩიეთ, ისრე კიდეც გადავირჩიოთ.

ხალხი. ჰანგრე იყოს, ჰანგრე!.. უნდა კი, საითაც იქნება, უშველოთ თავსა და!..

წაკოლა.

გორი, 20 აგვისტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 28.

საზოგადოებას მინდობილი აქვს სკოლის მმართველობა; ის შეიკრიბება პოპეჩიტლის ამოსარჩევად და გარდამისა საზოგადოება წელიწადში ორჯელ მაინც შეიყრება, რომ მოილაპარაკონ ყველა სასოფლო მეურნეობის საგნებზედ, რომლების უპირატესს განსჯას ადგილობრივი საჭიროება მოითხოვს, აგრეთვე მოილაპარაკონ იმ თავიანთ სასოფლო მეურნეობის საქმეებზედ, რომლების კეთილის წარმატება სასოფლო მეურნეობის სკოლის მხედველობაში არის, და მოიფიქრონ ის საშუალება, რომლითაც შეეძლოთ მისცენ თავიანთ საქმეებს უმეტესი წარმატება.

§ 29.

საზოგადოება შესდგება მაშინ, როდესაც იქნება ნაკლებ ოც-და-ერთის წევრისა.

§ 30.

საზოგადოებას და სკოლას აქვს თავიანთი სახელობითი ბეჭდები.

# განცხადებანი

**გასწორება** შეცდომებისა, რომელნიც მომხდარან ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის უკანასკნელს ტირაჟში გამოსულთ გირავოს ფურცელთა სქემაში, რომელიც არის დაბეჭდილი მე-247 №-ში „დროებისა“. ეს შეცდომანი არიან:

ა) მეშვიდე სტრიქონში განცხადებისა: დაბეჭდილია $4^3/_2$ წლიანნი; უნდა იყოს $43^1/_2$ წლიანნი.

ბ) ოთმოც-და-მეხუთე სტრიქონში: დაბეჭდილია IV სერიისა 100 მანეთიანი № 80; ხოლო უნდა იყოს IV სერიისა 100 მანეთიანი № 82.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრნი მოიპატიჟებიან უჩვეულებრივს კრებაზედ, რომელიც იქნება საზოგადოების სადგომში შაბათს, 92 ნოემბერს, სალამოს $7^1/_2$ საათზე, საზოგადოების რჩევის მოხსენების მოსასმენლად:

„იმ ღონის-ძიებაზედ, რომელიც ხსენებულ უნდა იქმნეს, რომ კავკასიის სანამესტნიკოში არ გავრცელდეს ფილოქსერა, რომელიც ყირიმის ვენახებში აღმოჩნდა.“

კრებაში გარეშე პირთაც შეუძლიათ დასწრება. 2—1

**ხუთშაბათიდამ**, 27 ნოემბრიდამ **ჯანჯულაზოვების** მაღაზიაში დაიწყება გასყიდვა კაცების და ქალების ფეხ-საცმელებისა და შლიაპებისა ნამდვილს ფასზე დაკლებით; ვაჭრობა (ტორგი) არ იქნება. მსყიდველებს შეუძლიანთ ამოირჩიონ და გასინჯონ ფეხ-საცმელი.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა ღვინოები და ვოდკები, დანიშნულის ფასით. 5—1

# კანტორა

## ლუკა იაგორიჩ რუხაძისა

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან ვაღებ ქ. ფოთში **კამისიის კანტორას** ჩემი მაღაზიის მეორე ეტაჟში, ზევით და იმედნეული ვარ არ დამტოვებთ უყურადღებოთ, რადგან ვიღებ ჩემს თავზედ შრომას ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისას ნაკლები კამისიით.

კანტორის საქმეებს აწარმოებს მოსე დავითის ძე კაკაბაძე, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა. **ლ. რუხაძე.**

5—3

თფილისის ქალაქის

# გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით 9 დეკემბერს 1880 წელს დანიშნულია ვაჭრობა **არენდით** გასაცემად ქალაქის **დროებით დუქნებისა** რიცხვით 40 ავლაბრის მოედანზე და რუსის ბაზარზე რიცხვით 18, 1 იანვრიდამ 1881 წლიდამ 1 იანვრამდე 1883 წლამდე.

3—2

თფილისის ქალაქის

# გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით 5 დეკემბერს 1880 წ. დანიშნულია ვაჭრობა **არენდათ** გასაცემად **ბუდკების** ქვეშ ადგილებისა ხელოვნებითი მინერალური წყლების გასაყიდველად, 1 იანვრიდამ 1881 წლისა 1 იანვრამდე 1883 წლამდე, ქვემოხსენებულთ ადაგებზე:

გოლოვინის პროსპექტზე 5, ერევნის მოედანზე 2, ალექსანდროვის ბაღთან სახელმწიფო პალატის პირ-და-პირ 1, აბას-აბათის მოედანზე 1 და ნავთლუღში). (3—3)

**შენიშნვა**

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—79)

**გორის დამზოგველ საზოგადოებისაგან**

გორის სამაზრო დამზოგველი საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელნიც ამ საზოგადოების წევრად ჩაეწერნენ და წელსაც წვერის წევრობა, თავიანთი საწევროს ფული წარუდგინონ საზოგადოების წევრ-დამფუძნებელს თ. რევაზ შალვას ძეს ერისთავს, რომელიც გორში სცხოვრებს. 5—3

**მთავარი კანტორა დანდობით ამხანაგობისა**

# „იაგორ ქასუმოვი და ამხ.“

ერევნის მოედანი გ. ჯაყელის სახლი.

ყიდულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5% მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი % ქაღალდები შეიძლება კანტორამ გამოიყიდოს და თვითონვე დაიგირაოს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვალეთა შეუძლიათ % ქაღალდები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელობაზედ, და კანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყი ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე — — $4^1/_2$ /
სპირობო ანგარიშისასამებრ — — — 5 —
2) 6 თვით ვადით შეტანილ ფულზე — $5^1/_2$ —
12) თვის — — — 7 —
ერთი წლის მეტით — 8 —

3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. — 9 —

შემოტანილ ფულების ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება % თავიდამვე გადახდილ იქმნას.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 % ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემოტანისთანავე.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოჩტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, კანტორა ახდევინებს:

თვე-და-თვე გადახდით
სესხზედ — — — — 10 %
კვირაში ერთხელ — 9 —

ვადამდე გადუხდელობით სესხი მიეცემა ფირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

ყიდის მოგებიან 5 % ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან გადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

იღებს შეკვეთას ოდესის ექვს სხვა-და-სხვა ნაირ მშვენიერ თვისების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. ამ სანოვაგეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ კანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 საათამდე. (10—10)

ჰრავანსკის ზეთის

# აბრიკა
# ს. მ. მღებროვისა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ახალ ფაბრიკაში ვაკეთებული ჰრავანსკის ზეთი ფუთი 16 მანეთად ისყიდება, ადგილობრივი, კავკასიის ზეთი კი ფუთი 12 მანეთად. წვრიმალად ზეთი ისყიდება სოლოლაკის ქუჩაზე, შაკიევის მაღაზიაში, ლენ. სუმბათოვის სახლებში, და ნარდათ, პარტიობით კი მღებროვის საკუთარს მამულში ერევნის ქუჩაზე, სახლის № 16.

ვინც ქალაქს გარეშე ადგილებიდამ დაიბარებს ამ ზეთს, მოთხოვნიბას მსწრაფლად და ბეჯითად შეუსრულებთ. ვინც ნარდათ, პარტიობით ისყიდის ბლომად, იმათ 10% დაეთმობა 100 მანეთის საქონელზე.

ამას გარდა აქვე ისყიდება **კაპტონი**, ზეთის ნახადი, რომელიც ასუქებს ყოველ გვარ შინაურ საქონელს, ფუთი 1 მან. (5—4)

**პატენტიანი ურთკები**

ძმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—82)

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Ноября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.